რეგიონული კონფერენცია - **მოსახლეობის დინამიკა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დემოგრაფიული პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში**

2019 წლის 14 ივნისი

შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი, საქართველო

საქართველო, თბილისი, თელავის ქ. #20

კონცეპტუალური ხედვა

არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

2019 წელი გამორჩეულია იმით, რომ ამ წელს მსოფლიო აღნიშნავს მოსახლეობისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის მიღების 25-ე წლისთავს და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) დაარსებიდან 50-ე წლისთავს. ასევე, 2019 წელს, 20 წელი სრულდება გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მოღვაწეობისა ქვეყნის განვითარების ხელშესაწყობად.

UNFPA-ს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონულ ოფისთან მჭიდრო თანამშრომლობით, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი, აწყობს რეგიონალურ კონფერენციას, რომელიც ამ მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნას ემსახურება მოსახლეობის დინამიკასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დემოგრაფიული პოლიტიკის საკითხებზე რეგიონული დიალოგის გაღრმავების გზით.

აღნიშნული რეგიონული დიალოგი და მის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები იმ რეგიონული გზამკვლევის მნიშვნელოვან ქვაკუთხედად აღიქმება, რომელიც მოსახლეობისა და

განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამის მიღების 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ნაირობის სამიტისათვის (ICPD25) მზადებას ემსახურება. აღნიშნული მსოფლიო სამიტი, რომლის დევიზიც არის ''პროცესის დაჩქარება მიზნების მისაღწევად'', და რომელიც 2019 წლის ნოემბერში გაიმართება, განსაკუთრებულ პლატფორმას სთავაზობს სახელმწიფოთა მთავრობებს, გაეროს სააგენტოებს, სამოქალაქო საზოგადოებას, კერძო სექტორს, ქალთა ორგანიზაციებსა და ახალგაზრდულ გაერთიანებებს, რომლის ფარგლებშიც მათ ექნებათ საშუალება გამართონ დისკუსიები და შეთანხმდნენ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ემსახურება მოსახლეობისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) სამოქმედო პროგრამის გახორციელების დაჩქარებას, რაც უმნიშვნელოვანესია 2030 წლისთვის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

აღნიშნული რეგიონალური კონფერენცია უმასპინძლებს დისკუსიას თემაზე - *„რა შეიცვალა“*. მოსახლეობისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციასთან (ICPD) დაკავშირებული დისკუსიების ეს სერია ორგანიზებულია გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ მსოფლიო მასშტაბით და ემსახურება 2019 წლის ნოემბერში ნაირობიში დაგეგმილი გლობლური სამიტისთვის მზადებას. აღნიშნული დისკუსიების მიზანს წარმოადგენს უნიკალური ცოდნის ბაზის შექმნა, რომელშიც შესული იქნება ICPD თემებზე წამყვანი ექპერტებისა და საზოგადოების იმ წარმომადგენელთა მოსაზრებები, რომლებიც მოსახლეობისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) დღის წესრიგის განხორციელებისთვის იღწვიან; აგრეთვე, ახალი მიდგომების გაანალიზება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არის შესაძლებელი მოსახლეობისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულებების სრულად შესრულება და არსებულ რეალობაზე მათი მორგება. აღნიშნული დისკუსიების განხილვის საგანი იქნება მოსახლეობისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო პროგრამა და სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების რეალიზაციის მიმართულებით არსებული მიღწევები.

მოსახლეობის დინამიკა რეგიონში

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ქვეყნების მზარდი რაოდენობა დგება მოსახლეობის დინამიკის ისეთი მდგომარეობის წინაშე, რაც სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდითა და აღწარმოების მაჩვენებელზე დაბალი შობადობით, ასევე, ზოგიერთ ქვეყანაში, ქვეყნიდან ახალგაზრდების მიგრაციით გამოწვეული მოსახლეობის სწრაფი ტემპით დაბერებასა და მოსახლეობის ზრდის ტემპის შენელებას უკავშირდება. დადგენილია, რომ მოსახლეობასთან დაკავშირებული საკითხები და მოსახლეობის დინამიკა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მდგრად განვითარებაზე. მოსახლეობის დინამიკა მჭიდროდ უკავშირდება განვითარებასთან ასოცირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა სიღარიბის დონის შემცირება, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდების განვითარება და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

არაგადამდები დაავადებების (აგდ) ზრდადი ტვირთი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მოსახლეობის დინამიკაზე გლობალურად, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ჩათვლით. აღნიშნული ფენომენი მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდისა და „მოდერნიზაციის“ თანმდევ მოვლენას წარმოადგენს. არაგადამდები დაავადებები (აგდ) ხასიათდება ქრონიკულ დაავადებებში (დიაბეტი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კიბო) გადაზრდის ტენდენციით, რომლებიც, ხშირად, უკურნებელია, მუდმივ და ძვირადღირებულ

მკურნალობას საჭიროებს და შრომისუნარიანობის კარგვას უკავშირდება. ჯანმრთელობის აღნიშნული პრობლემები ადრეულ, და შუა ასაკში ყალიბდება და, დღეის მდგომარეობით, მათი პრევენცია, 'ჯანსაღი დაბერების' მიდგომის საშუალებით, წარმოადგენს ამ დაავადებებთან გამკლავების ეფექტურ და ყველაზე ნაკლებ ხარჯებთან დაკავშირებულ საშუალებას.

მოსახლეობის დინამიკის შესწავლა და გააზრება უმნიშვნელოვანესია გლობალურად მდგრადი განვითარების ყოვლისმომცველი მიზნების შესრულებისაკენ საზოგადოებების სწრაფვის ფონზე. ამ პროცესის ქვაკუთხედს წარმოადგენს მიდგომა, რომელიც ადამიანის უფლებებს ემყარება და რომელიც, მხოლოდ მშრალი რიცხვებით გამოხატული დემოგრაფიული ტენდენციების მიღმა, გულისხმობს და ითვალისწინებს ინდივიდუალურ პირებს, მათ საჭიროებებს, მათ უფლებებსა და პოტენციალს.

2018 წელს ჩატარებული ICPD+25 რეგიონული მიმოხილვის[1] შედეგად გამოიკვეთა მოსახლეობისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციები, რომლებიც ზემოქმედებს აღნიშნულ რეგიონზე და რომელიც სხვა ტენდენციებს შორის მოიცავს შემდეგს:

- რეგიონის დიდ ნაწილში შობადობის მუდმივად დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება, აქედან ქვეყნების უმრავლესობაში - აღწარმოების მაჩვენებელზე დაბალი შობადობით; პროგნოზის თანახმად, 2030 წლისათვის მოსახლეობის შემცირების პრობლემის წინაშე აღმოჩნდება 20 ქვეყანა, აქედან 10 ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობა 15%-ით შემცირდება 2050 წლისათვის;
- სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდასა და მოსახლეობის დაბერებასთან დაკავშირებული პროგნოზის თანახმად, 2023 წლისათვის, პირველად რეგიონში, ხანდაზმული ასაკის (65 წლისა და უფროსი ასაკის) მოსახლეობის რიცხოვნობა გადააჭარბებს 0-14 წლის ასაკის ბავშვების რიცხოვნობას;
- უფროსი ასაკის დასაქმებულ მოსახლეობაში საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების პროგრამებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი (55 წლიდან 74 წლამდე ასაკის ქალების 5% და მამაკაცების 4%) წარმოაჩენს არსებულ ბარიერებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, ე.ი. უწყვეტი განათლების მიმართულებით და არარეალიზებული პოტენციალის დაგროვებას უწყობს ხელს;
- საგულისხმოა იმ ახალგაზრდების მაღალი წილი, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან ჩართული ტრენინგებში და არ არიან დასაქმებული (NEET);
- ოჯახის სტრუქტურის ტრანსფორმაცია, რომელშიც, სხვა ტენდენციების პარალელურად, იკვეთება ისეთი ტენდენციები, როგორიცაა თანაცხოვრება, ერთმშობლიანი ოჯახები და ხელმეორედ ქორწინების შედეგად შექმნილი ოჯახები;
- უმცირესობათა ჯგუფები, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, კვლავაც გარიყულები რჩებიან საზოგადოებიდან, განიცდიან მატერიალურ სიდუხჭირეს, რაც ცხოვრების მანძილზე თანდათან უფრო და უფრო უარყოფითად აისახება მათი განათლების მიღწეულ დონესა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ამგვარი პერსპექტივების ფონზე, ბევრი ქვეყნის ხელისუფლებამ დაიწყო სპეციალური პოლიტიკის გატარება ოჯახების დახმარებისა და მოსახლეობის დაბერების შედეგებთან გამკლავების მიზნით. თუმცა, დემოგრაფიული და განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რომლებსაც სახელმწიფოთა მთავრობები მიმართავენ დემოგრაფიულ ცვლილებებთან გასამკლავებლად, ხშირად არ არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და არის შემთხვევები, როდესაც ამგვარი პოლიტიკის გატარებით ირღვევა ინდივიდუალური პირების უფლება იყოლიონ იმდენი შვილი, რამდენი შვილის ყოლის

[1] https://eeca.unfpa.org/en/publications/fulfilling-potential-present-and-future-generations

სურვილიც აქვთ, რაც ამ მიმართულებით გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიდგომის პრინციპული საფუძველია.

მოსახლეობის დინამიკა და შესაბამისი პოლიტიკა საქართველოში

საქართველო, ისევე როგორც რეგიონში არსებული ბევრი სხვა ქვეყანა, მომავალი ათწლეულების მანძილზე, მოსახლეობის რიცხოვნობის კლებისა და მოსახლეობის დაბერების გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის განყოფილების (UNPD) პროგნოზით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი საქართველოს მოსახლეობაში გაიზრდება და თუ ეს მაჩვენებელი ქვეყანაში 2015 წელს 14%-ს შეადგენდა, 2030 წლისათვის 19%-ს გადააჭარბებს. ბოლო ათწლეულების მანძილზე, საქართველოში, დემოგრაფიული სტრუქტურისა და მოსახლეობის დაბერების მიმართულებით გამოკვეთილი ცვლილებების მექანიზმი უკავშირდება შობადობის დაბალ მაჩვენებელსა და ემიგრაციას. თუმცა, ამავე დროს, აღნიშნული მექანიზმი საფუძველს უყრის ეგრეთწოდებულ „პირველ დემოგრაფიულ დივიდენდს“. ვინაიდან საქართველოში ხანდაზმულთა დამოკიდებულების კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია, შობადობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი იწვევს დამოკიდებულების ჯამური კოეფიციენტის შენარჩუნებას საკმაოდ დაბალ ნიშნულზე, მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში. ვინაიდან ამ ეგრეთწოდებული „დემოგრაფიული შესაძლებლობის ფანჯარა“ პერიოდი საქართველოში სულ მცირე ერთი ათწლეულის განმავლობაში კიდევ გასტანს, არსებული სიტუაცია ჯერ კიდევ იძლევა ქვეყანაში სათანადო პოლიტიკისა და ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას, რომლებიც მიმართული იქნება იმ უარყოფითი შედეგების შემსუბუქებაზე, რომელსაც მომავალში უნდა ველოდოთ მოსახლეობის დაბერებისა და მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების მიმდინარე ტენდენციების ფონზე. გარდა ამისა, საქართველოში, პოლიტიკური მიდგომების სწორი კომბინაცია საშუალებას მოგვცემს ვისარგებლოთ „მეორე დემოგრაფიული დივიდენდით“, ვინაიდან, ხანდაზმულთა რესურსი და დანაზოგები კარგ საფუძველს წარმოადგენს პროდუქტიული ინვესტიციებისათვის.

მოსახლეობის დინამიკასთან დაკავშირებული საკითხები ქვეყნის განვითარებისათვის პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული საქართველოს მთავრობის მიერ, რისი დასტურიც არის საქართველოს პარლამენტის მიერ ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტის მიღება, რომლებიც გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ტექნიკური მხარდაჭერით იქნა შემუშავებული, ეს დოკუმენტებია: *საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია (2016 წ.)* და *საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია* (2016 წ.).

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერა მოსახლეობის დინამიკის სფეროში

რეგიონის ქვეყნებში გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ წარმოებული საქმიანობა ემსახურება დემოგრაფიულ საკითხებთან, მოსახლეობის დაბერებასთან, გენდერულ თანასწორობასთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისთვის საჭირო ხარისხიანი მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და მათი გამოყენების შესაძლებლებების გაფართოებას, მათ შორის იმ რეგიონებში, რომლებიც ჰუმანიტარულ კრიზისს განიცდის. გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), ასევე, მხარს უჭერს ქვეყნებში მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკისა და მომსახურების დანერგვას, რომლებიც ჯანსაღი და აქტიური დაბერების ხელშეწყობას ემსახურება. მოსახლეობის დინამიკასა და განვითრებასთან მისი კავშირების

ანალიზის შესაძლებლობების გაფართოებისა და ქვეყნების მიერ ამ მიმართულებით არჩეული პოლიტიკის ანალიზის ხელშეწყობის მიზნით, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) თანამშრომლობს მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო წრეებთან და რეგიონულ ინსტიტუტებთან.

მტკიცებულებაზე დაფუძნებული მოსახლეობის პოლიტიკის ფორმულირების შემდგომი განმტკიცების მიზნით, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) *ვენის დემოგრაფიის ინსტიტუტის (ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის)/მოსახლეობისა და მსოფლიო ადამიანური კაპიტალის ვიტგენშტაინის ცენტრის* წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობით, ამჟამად მუშაობს ანალიტიკურ ანგარიშზე, რომლის მიზანსაც წარმოადგენს შესაბამისი ლიტერატურის ანალიზისა და შერჩეული ქვეყნების გამოცდილების შეჯერების საშუალებით, შობადობის მაჩვენებლებზე ოჯახის ხელშემწყობის პოლიტიკის გავლენის შესახებ მტკიცებულებების შეჯამება და აღნიშნულ პოლიტიკასა და შობადობას შორის არსებული რთული კავშირის დემონსტრირება.

კონფერენციის მიზანი

აღნიშნული კონფერენციის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის დინამიკისა და რეგიონში ამ მიმართულებით არსებული ტენდენციების, მათ შორის დაბერების, სიღრმისეული გაცნობიერების ხელშეწყობა, და ასევე, რეგიონის ქვეყნებში ამ დინამიკასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და ინიციატივების მიმართულებით არსებული სიტუაციის მიმოხილვა. რეგიონის ქვეყნებს შორის სამეცნიერო მტკიცებულებებისა და კარგი პრაქტიკის გაცვლის გზით, კონფერენცია ასევე უზრუნველყოფს მოსახლეობისა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ხალხზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობას.

ერთდღიანი კონფერენციის ორგანიზატორები არიან გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისი, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისი და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან პარტნიორობით.

კონფერენციის მონაწილეები

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მთავრობების, სამეცნიერო წრეების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები; გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) რეგიონული ოფისისა და ქვეყნის ოფისების წარმომადგენლები; მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები.

კონფერენციის მუშაობის განრიგი

08:30 - 09:00	**კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია**
09:00 - 19:30	**კონფერენციის გახსნა** **ბ-ნი კახა კახიშვილი,** *საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (TBC);* **ბ-ნი დავით სერგეენკო**, *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (TBC);* **ქ-ნი საბინ მაჰლი,** *გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში;* **ბ-ნი კარლ კულესა**, *გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) წარმომადგენელი თურქეთში და საქართველოს ოფისის დირექტორი.*
09:30 – 10:30	***რა შეიცვალა?*** დისკუსია ICPD ირგვლივ - რა შეიცვალა გასული 25 წლის განმავლობაში? **შობადობა, ოჯახები და ქალთა გაძლიერება** **მოდერატორი: ბ-ნი იან მაკფარლენი**, *გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის დირექტორის მოადგილე* **დისკუსიაში მონაწილეობენ:** **ბ-ნი ტომაშ სობოტკა,** *ვენის დემოგრაფიის ინსტიტუტის (ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის)/მოსახლეობისა და მსოფლიო ადამიანური კაპიტალის ვიტგენშტაინის ცენტრის წარმომადგენელი* **ბ-ნი აკაკი ზოიძე,** *საქართელოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;* **ქ-ნი ჟანა ანდრეასიანი,** *სომხეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის მოადგილე;* **დოქტორი ლია ნადარაია,** *კავკასიის ფემინისტური ინიციატივის პრეზიდენტი; გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) თავმჯდომარის მოადგილე აღმოსავლეთ ევროპისათვის* **დისკუსია**
10:30 – 11:00	**შესვენება, მსუბუქი საუზმე**
11:00 – 12:30	**I სხდომა - მოსახლეობისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის (ICPD) რეალიზაციის გაუმჯობესება მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად** მოდერატორი: **ქ-ნი საბინ მაჰლი,** *გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში* **მოსახლეობის დინამიკა და მდგრადი განვითარების დღის წესრიგი რეგიონში - ადამიანური კაპიტალის გაძლერება ცხოვრების ციკლის მანძილზე და კეთილდღეობაზე ზრუნვა**

ბ-ნი ტომაშ სობოტკა, *ვენის დემოგრაფიის ინსტიტუტის (ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის)/მოსახლეობისა და მსოფლიო ადამიანური კაპიტალის ვიტგენშტაინის ცენტრის წარმომადგენელი*

არაგადამდები დაავადებების (აგდ) პრევენციის გავლენა მოსახლეობის დინამიკაზე

დოქტორი ამირან გამყრელიძე, *საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი*

უკრაინის პაქტი ახალგაზრდებისათვის

ბ-ნი ოლექსანდერ იარემა, *უკრაინის ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრის მოადგილე*

ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში - პროგრესი და გასავლელი გზა

ქ-ნი ირინა ფრუიძე, *პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი*

მსჯელობა ქვეყნების გამოცდილებისა და მათი მომავალი გეგმების შესახებ

12:30 – 13:30	**სადილი, ერთობლივი ფოტო**
13:30 – 14:30	**I სხდომა - გაგრძელება**

მოდერატორი: ბ-ნი კარლ კულესა, *გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) წარმომადგენელი თურქეთში, საქართველოს ოფისის დირექტორი*

ოჯახის ხელშემწყობი პოლიტიკა და მამაკაცთა ჩართულობა

დოქტორი ნიგინა აბასზადე, *გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის მრჩეველი გენდერთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებში*

ქალთა მხარდამჭერი პოლიტიკა - კერძო სექტორის როლი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის საქმეში

ქ-ნი სევდა აკლანი, *„ბიზნესი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ“ პროექტის კოორდინატორი, საბანჩის უნივერსიტეტი - კორპორაციული მართვის ფორუმი, თურქეთი*

მსჯელობა ქვეყნების გამოცდილებისა და მათი მომავალი გეგმების შესახებ

14:30 – 14:40	**ტექნიკური შესვენება**
14:40 – 15:45	**II სხდომა - მოსახლეობის დაბერება - ახალი შესაძლებლობები საზოგადოებისათვის**

მოდერატორი: დოქტორი ალექსანდრე სიდორენკო, *სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკისა და კვლევის ევროპული ცენტრის (ვენა, ავსტრია) უფროსი მრჩეველი*

მოსახლეობის დაბერების ტენდენციები და პოლიტიკა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) რეგიონში

ქ-ნი ვიტალია გაუკაიტე ვიტიჩი, *გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მოსახლეობის განყოფილების უფროსი, სტატისტიკის განყოფილება (ონლაინ ჩართვა);*

	მოსახლეობის დაბერება მოლდოვის რესპუბლიკის პოლიტიკურ დღის წესრიგში ქ-ნი ალიონა კრეტუ, *მოლდოვის რესპუბლიკის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ოჯახის საქმეთა მინისტრის მოადგილე [TBC]* **საპენსიო რეფორმა საქართველოში** ქ-ნი ეკატერინე მიქაბაძე, *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე* **მსჯელობა ქვეყნების გამოცდილებისა და მათი მომავალი გეგმების შესახებ**
15:45 – 16:15	**შესვენება - მსუბუქი სამხარი**
16:15 – 17:30	**II სხდომა - გაგრძელება** მოდერატორი: ბ-ნი ედუარდ იონგსტრა, *გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის მრჩეველი* **ჯანსაღი დაბერების ხელშეწყობასთან დაკავშირებული კარგი პრაქტიკა და ინიციატივები** **ჯანსაღი დაბერების ცენტრები ბოსნია და ჰერცეგოვინაში** ქ-ნი სეიდეფა ბასიკ-კატიჩი, *არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის“ დირექტორი, ბოსნია და ჰერცეგოვინა* **ჯანსაღი დაბერების ინიციატივა საქართველოში** ქ-ნი ნანა ბაგალიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ინიციატივის“ *ხელმძღვანელი, საქართველო* **მსჯელობა ქვეყნების გამოცდილებისა და მათი მომავალი გეგმების შესახებ**
17:30 – 18:00	**დასკვნითი კომენტარები** ბ-ნი აკაკი ზოიძე, საქართელოს პარლამენტის *ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;* ბ-ნი იან მაკფარლენი, *გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის დირექტორის მოადგილე*